წელიწადი 1-ლი
გაზ. ფასი 3 შაური.
ტელეფონი № 76.
პარასკევი დეკემბრის 15—(28) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მ.
ოთხი თვით . . . 1 [illegible] თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] . . . [illegible]
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება [illegible]
სამგლოვიარო განცხადების [illegible]
უმეტეს სამი განომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ.
8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და სალამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 200 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 200

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 17 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ნიკოლოზ ლუარსაბის ძის გრიგორაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ღრმათ დამწუხრებულნი და გულ მოკლულნი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ქვრივი მეუღლე მისი მარიამ ნიკოლოზის ასული გრიგორაშვილისა შვილები: ნიკოლოზ და ელენე გრიგორაშვილები, დვდა სეფორე გრიგორაშვილისა, ძმა მისი მაქსიმე გრიგორაშვილი, რძალი ნინა გრიგორაშვილისა, სიმამრი ნიკიფორე კვიმსაძე და სიდედრი ანნა კვიმსაძისა. წირვა დაიწყება დილის 11 საათზე.

ქუთაისის საძეურნეო სკოლა გულის ტკივილით აუწყებს საზოგადოებას ყოფილი მზრუნველის

დავით ნიკოლოზის ძის ბაქრაძის

გარდაცვალებას, რომლის სულის მოსახსენებლათ საკათედრო ტაძარში წირვას და პანაშვიდს 17 დეკემბერს, დილით კვირას გადაიხდის ყოვლად სამღვდელო **ანტონ ქუთათელი**.

ზესტაფონის ქალაქის საბჭოს არჩევნები

მოქალაქენო!

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

სიას № 3

1. წერეთელი ალექსანდრე ზურაბის ძე,—მომრიგებელი შუამავალი.
2. აბაშიძე გიორგი მინას ძე,—ჟურნალისტი, პედაგოგი.
3. იაშხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე,—პედაგოგი.
4. ნიორაძე ტრიფონ ანდრიას ძე,—კომერსანტი-მრეწველი.
5. გვალია მიხეილ ოტიას ძე,—ნოტარიუსი.
6. საყვარელიძე კლეონიკე ალექსანდრეს ძე,—კერძო ვექილი.
7. ანთაძე კონსტანტინე დავითის ძე,—მღვდელი, პედაგოგი, მწერალი.
8. კელენჯერიძე ბესარიონ ანტონის ძე,—პედაგოგი.
9. შალამბერიძე ალექსანდრე ლეონტის ძე,—კომერსანტი.
10. გოცაძე იორდანე მიხეილის ძე,—ექიმი.
11. არდიშვილი ალექსი თედორეს ძე,—სამხედრო ექიმი.
12. ცქიტიშვილი პავლე სიმონის ძე,—სასამართლოს მდივანი.
13. მამალაძე სამსონ პეტრეს ძე,—კომერსანტი.
14. გაჩეჩილაძე სილიონ სოფრომის ძე,—კომერსანტი.
15. გაჩეჩილაძე ბესარიონ ოქროპირის ძე,—კერძო ვექილი.
16. ორჯონიკიძე სიმონ გიორგის ძე,—პედაგოგი.
17. ნანეიშვილი თეოფანე ბეჟანის ძე,—პროვიზორი.
18. ბებიაშვილი ივანე სიმონის ძე,—კომერსანტი.
19. კვინიკაძე ერმილე ლაზარეს ძე,—საურთიერთო ნდობის ბანკის დირექტორი.
20. გაჩეჩილაძე ბიქტორ ალფეზის ძე,—კომერსანტი.

კვირას დეკემბერს 17
ქ. ზესტაფონში ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში გაიმართება
დიდი საღამო-კაბარე.
მოწვეულნი არიან ცნობილნი ლიტერატორნი, მომღერლები, მოცეკვავენი და სხვა.
დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში.

ექიმი კ. ს. ადამია
იღებს სახებიო, შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფთ. დილის 11 საათ. 1 საათ. სალ. 6 საათ. 8 საათ. ბალის ქუჩა სახლი სანიკიძის № 12.

ქირავდება
ერთი დიდი სინათლიანი ზალა თავის მოწყობილობით, გათბობით და ნავთით. ადრესი: ნაგორნი უჩასტოკი, ლევაშოვის ქუჩა, ჯაიანის შესახვევი, სახლი № 21.

იყიდება
ადგილი და ორითვალიანი სახლი
ერაფიმე კანდელაკისა, ლევაშოვის ქუჩაზე.

საქართველოს საფრთხე.

საქართველოს თავის მრავალ საუკუნოებრივ ეროვნულ სახელმწიფოებრივ მსვლელობაში არასოდეს შეხვედრია წილად ნერვების ისე დაჭიმვა, როგორც დღეს.

ბოლშევიკების უტაქტობამ ყველაზე უფრო შეუწყო ამას ხელი. ამათ სრულებით აურიეს დავთარი რუსის ჯარს. მოყვარე მტრად დაუსახეს, ხოლო მტერი მოყვარედ. მუდამ ჟამს რევოლუციის ინტერესები აკერიათ პირზე, არსებითად კი ბოლშევიკებისთანა მტერი ამ რევოლუციას არ აღმოსჩენია. ყურები გაგვიჭედეს „ერთა თვით-გამორკვევის სრულ სუვერენობამდე“ აღიარებით, ხოლო უკრაინას ომი გამოუცხადეს და ყველა ერის ავტონომიას ებრძვიან. ასეთი არევ-დარევით ზედმიღწევით სარგებლობენ გერმანეთი, ოსმალეთი და მათი მოკავშირეები.

ბოლშევიკური საფრთხე იმდენად საშიში არ არის ჩვენთვის, რამდენად საშიშია საყოველთაო აღრევის შედეგები.

ჯერ ერთი, რუსის ჯარი, კავკ. ფრონტიდან წამოსული, განიავებას უქადის ჩვენ მხარეს არა მარტო იმით, რომ მშიერ-მწყურვალია და ჩაუცმელი, არამედ უმთავრესად იმით, რომ უმრავლესობა ველიკორუსულ ელემენტს წარმოადგენს, რომელიც მპყრობელურ სულის-კვეთების, თუ შეუგნებლობისა და შთაგონების გამო კავკასიის ერთა თავისუფლებას კეთილის თვალით არ უყურებს. ამ მხრივ შესაძლებელი საფრთხე! მუდამ ქან თვალ-წინ უნდა ვიქონიოთ.

ფრონტის დაუძლურებამ საერთაშორისო მდგომარეობა მეტის-მეტად შესცვალა. გერმანელები არ შესტრფიან დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ ზავს. ისინი გარკვევით და გადაჭრით აღიარებენ, თვის გამარჯვებას და რუსეთის ტერიტორიის ანექსიას მოითხოვენ. ყველა ამან „მომაკვდავი“ ოსმალეთიც გაათამამა და, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, იგი მოითხოვს არა მარტო ამ ომიანობის დროს დაკარგულ სამაჰმადიანო საქართველოს და ოსმალეთის სომხეთს, არამედ ბათომისა და ყარსის ოლქებსაც კი ეპოტინება.

ამ გარემოებამ დიდ საგონებელში უნდა ჩააგდოს საქართველო და მისი მესვეური—ეროვნული საბჭო. გატიტვლებული კავკასიის ფრონტი დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენს სამშობლოს. შესაძლოა კითხვა დაისვას არა მარტო ბათომის და ყარსის ოლქისა, არამედ მთელი საქართველოს ანექსიაზეც.

ასეთი რთული პირობების დადგომამდე ზომებია საჭირო და არა პოლიატივები. თუ მოკლე ხნის წინედ ჯერ თვით-პყრობელისაგან იყო განადგურებული საქართველო, მას შემდეგ თუ კადეტების იმპერიალიზმთან გვქონდა საქმე, ან კერენსკის სასაცილო დაპირებებთან, დღეს სულ სხვა სახეს იღებს ჩვენი მდგომარეობის საშინელება. იგი გაათასკეცებულია. ბოლშევიკები ერთის მხრით, რეაქციის მოლოდინი მეორეს მხრით, მესამეთი ბათომის ოლქისა და და მთელი სამაჰმადიანო საქართველოს დაკარგვის პერსპექტივა და მეოთხე მხრით კიდევ ჩვენი ქვეყნის საომარ ასპარეზად გადაქცევის შესაძლებლობა.

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ მთელი ერი მოვალეა გასაჭირთან საბრძოლველად დაირაზმოს, თავის ეროვნულ საბჭოს გვერდით ამოუდგეს და უკანასკნელი პერანგიც კი სამშობლოს საკურთხეველზე დასწვას. ჩვენი იმედი ქართული ჯარი არის და მტკიცე კავშირი კავკასიის ყველა ერებთან.

ი. ხ.

ახალ-ქალაქში

ქართველი გიმნაზიელები გამოყარეს!

სად უნდა მომხდარიყო ასეთი ამბავი?

სად უნდა დაეხშოთ კარი ქართველი მოწაფეებისათვის?

სწორედ იქ, სადაც დაიბადა შოთა, სადაც მოღვაწეობდა ბერ-მონაზონთა გუნდი, სთარგმნიდა თუთხმეტი საუკუნის წინათ სახარებას და საიდანაც მთელ საქართველოს ეფინებოდა სწავლა და მეცნიერება!

მდიდარს კულტურით და მაღალს გონებით ებრძვიან და სწორედ ამ მხარეს ატყდებოდა უცხოთა ტალღა....

წინათ ოსმალონი....

შემდეგ რუსები....

დღეს სომხები.

ოსმალთაგან დასუსტებული სამცხე-საათაბაგოს აღმოფხვრა რუსეთმა ვერ შესძლო, მაგრამ რუსეთის მიერ იქ ჩათესლებულმა სომხობამ დიდი ხანია განიზრახა ამ ქვეყნის მოწყვეტა დანარჩენ საქართველოს სხეულიდან....

ამ მიზნით შლიდენ ზედ-წარწერებს კედლებზე....

ამ მიზნით უარყოფდენ ქართველ გრეგორიანთა არსებობას....

ამ მიზნით სურთ ახალ ქალაქის მაზრა ერევნის გუბერნიას მიაწერონ....

ეხლა ახალ-ქალაქის გიმნაზიიდან, რომელიც, აქვე უნდა შევნიშნოთ, ქართველების შრომითა და მეცადინეობით არის დაარსებული, გამოუყრიათ ქართველი მოწაფეები და სწავლა სომხურად მოუწყვიათ....

მეტის თქმა, მგონი, საჭირო არ არის. ვინც დამტკბარა შოთას ქნარით, ვინც ქართულის კულტურის შვილათ რაცხს თავს, იგი მონახავს საშვალებას დაეხმაროს საქართველოს სულიერი აკვანის დაცვას....

Argon.

P. S. ახალ-ქალაქში უკვე დაარსებულია ქართული ეროვნული გიმნაზიის დამაარსებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთ ბრძანდება ბ. გაბრიელ ოქროპირიძე, როგორც გადმომცეს, ქუთაისში პატარა ჯგუფს სურს დამხმარე წრე შეადგინოს.

რა გვეთქმის, თუ არა: „დაუჩქარეთ, ბატონებო, ქუთაისი თავის წვლილს არ დაიშურავს საქვეყნო საქმისთვის“.

Ar.

ზესტაფონის არჩევნებისათვის.

დეკემბრის 17-ს. ზესტაფონის მოქალაქენი ქალაქის პირველ თვითმართველობას აირჩევენ.

ამ გარდამავალ და უაღრესად კრიტიკულ ხანაში დიდი დაკვირვება და ალღოს აღება გვმართებს.

ქართველები ახლა ვიწყებთ ეროვნულ ცხოვრებას. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი სახალხო და საქვეყნო საქმე ისეთ პირთ გადავცეთ რომელნიც მას სათანადოდ გაუძღვებიან.

ღირებულება დაეკარგა ძვირფას მომხიბლელ დაპირებათ. რუსეთში ეს მომხიბლელი ლოზუნგები ანარქიის აღმომაცენებელი შეიქმნენ. მოქალაქენო! თქვენთან მოვიდნენ სოციალისტური პარტიები და გეუბნებიან: ,,ქვეყნის მხსნელი მხოლოთ მევარ. თუ სიკეთე გინდა, გამომყე.‘‘

უკვე არჩეული ქალაქის საბჭოები გვიჩვენებენ, თუ რამდენათ შეუძლიათ სოციალისტებს სხვის დაუხმარებლათ ქვეყნის პატრონობა.

არა პარტიული სივიწროვით, არამედ მთლიან საქართველოს ინტერესისათვის იყავით მოქალაქენო ფხიზლი და წინდახედული!

ვისაც გწამთ თავისუფლება კერძო თაოსნობისა, ვისთვისაც ძვირფასია კერძო საკუთრების დაცვა, ხმა მიეცით ერთად ერთ არა-სოციალისტურ პარტიის, ეროვნულ დემოკრატიის სიას № 3-ს ვისაც გწამთ ქართული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საჭიროება ქართული დოვლათის დაგროვება და მით საქართველოს ეკონომიურათ გამაგრება, ხმა მიეცით სიას 3-ს, ვინც ემხრობით იმ დებულებას, რომ ქალაქმა საკუთარ შემოსავლიან წყაროების გამონახვით დაიკმაყოფილოს ხარჯები, ვინც წინააღმდეგი ხართ უზომო დაბეგვრისა, ხმა მიეცით ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას.

1783 წლის ტრაქტატის აღდგენას მოითხოვს მხოლოთ ეროვნულ დემოკრატიული პარტია, რომლის აღდგენა ჩვენ გვათავისუფლებს ომისგან გამოწვეულ დიდ გადასახადებისაგან და უცხო სახელმწიფოთა ეკონომიურ ბეგრისგან, ვინც ამის მომხრენი ხართ, ხმა მიეცით № 3-ს. ვინც აღიარებთ მთლიან თავისუფალ საქართველოს, კლასიკურ თანამშრომლობას, ხმა მიეცით № 3-ს. ვინც წინააღმდეგი ხართ, რომ საქართველოს შემოსავლიანი ადგილები უცხოელებმა ჩაიგდონ ხელში ხმა მიეცით № 3-ს. ვისაც არ გწამთ სოციალიზაცია, ვინც კერძო თაოსნობის შეზღუდვას არ ემხრობით ვინც კერძო საკუთრებას იცავთ ხმა მიეცით ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას № 3-ს.

ხერ.

ომი და ზავი

კუბამ ავსტრიას ომი გამოუცხადა

კუბის პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ დეპუტატთა პალატამ ერთხმად მიიღო ავსტრია-უნგრეთისადმი ომის გამოცხადება.

დროებითი ზავის პირობები

კავკასიის ფრონტის მორიგების პირობები დასავლეთის ფრონტის პირობებიდან იმით განირჩევა, რომ 1) ეს მორიგება გრძელდება ზავის ჩამოგდებამდე, მაშინ როდესაც დასავლეთის ფრონტზე მხოლოდ 1-ლ იანვრამდე; 2) აქ სავსებით აკრძალულია ჯარის გადაყვანა მესოპოტამიის და სირიის ფრონტზე და ამით დაცულია სავსებით მოკავშირე სახელმწიფოთა ინტერესებიც; 3) პირობის დარღვევა და საომარ მოქმედების განახლება უნდა ეცნობოს მოპირდაპირე მხარეს 14 დღით ადრე, დასავლეთის ფრონტზე კი 7 დღით ადრე.

ომი არდასრულდება

თემთა პალატაში ჰენდერსონმა განაცხადა: „ჩვენ ვერავითარ ნიშნებს ვერ ვხედავთ, რომ ომი მალე დასრულდეს. ომი გართულდა და არ გათავდება სანამ არ გაიმარჯვებს ერთი მხარე, რის შემდეგაც, ომი გაუმეორებელი იქნება. მხოლოდ დრო გვაჩვენებს, მიაღწევენ თუ არა გამარჯვებას სამხედრო, პოლიტიკურ, ან დიპლომატიურ, ანდა ბოლოს წმინდა ზნეობრივის გზით. ქვეყნიერებას იმდენი ადამიანი და მატერიალი დააკლდა, რომ ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, ადრე გასამარჯვებლად“.

ავსტრიის სოციალისტების აზრი

ვენის „მუშათა გაზეთი სწერს, როდესაც ცენტრალი სახელმწიფონი დაინახვენ, რომ რუსეთი ომის გაგრძელებას ველარ შესძლებს—უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე უარს განაცხადებენო.

ბოლშევიკების დიქტატურა.

ახალი დეკრეტის მოლოდინში.

სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, ამ დღეებში ბოლშევიკები რამდენიმე ახალ დეკრეტს გამოსცემენო. დეკრეტები შეეხებიან სახელმწიფო ბანკის გაუქმების და მის მაგიერად სახალხო ბანკის დაარსებას, კერძო პირთა, სახელმწიფო და კერძო ბანკებიდან კაპიტალის ჩამორთმევას, ეკლესიის სახელმწიფოდან განშორებას, სინოდის და სარწმუნოებათა უწყების გაუქმებას, სავაჭრო გემებზე კერძო საკუთრების მოსპობას და მათ ხალხის ხელში გადაცემას.

ბანკირების შეპყრობა.

დეკემბრის 2 ს, ღამე ბოლშევიკებმა შეიპყრეს რამდენიმე კერძო კომერციულ ბანკის გამოჩენილი ხელმძღვანელნი.

შავრაზმული გაზეთები

პეტროგრადში გამოვიდა გაზეთი „გროზა“ პირველ ნომრის მეთაური ასე თავდება: „საკვირველია, რომ ბოლშევიკებმა უფრო მალე იგრძნეს რუსის ერის სული, ვიდრე რუსკიმ, ალექსეევმა, კალედინმა, დუტოვმა და სხვებმა. დიდხანს გასტანს ბოლშევიკების მთავრობა თუ არა ეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილით, ხოლო თვითმპყრობელობა კი გვეზმანება და მეფე ძალია, გაუმარჯოს თვითმპყრობელობას, გაუმარჯოს მეფესო.

მიტინგები პოლკში.

დეკემბრის 3-ს. ყველა პოლკებში იმართებოდა მიტინგები. პავლეს პოლკში გამოვიდა ტროცკი, რომელიც მოუწოდებდა ჯარისკაცთ სამოქალაქო ომისაკენ, განსაკუთრებით კადეტების საბრძოლველად. შემდეგ ლამობდა ლაპარაკს დამფუძნებელ კრების წევრი გიზეტი, მაგრამ ნება არ მისცეს და შეურაცხყოფაც კი მიაყენეს...

გაფიცვა.

დეკემბრის 2 დან. მოსკოვში გაფიცულია ყველა სამოქალაქო სასწავლებელი. სასამართლო სამომრიგებლო დაწესებულებანი, სამკითხველოები, მუშაობა შეწყვიტეს ქალაქის საწყობების და დუქნების მოსამსახურეებმა, გაიფიცნენ წიგნების საწყობთა მოსამსახურენი, „[illegible]", საყასბოები, გაიფიცა ტრამვაი, სასტუმრო „სტოლი," ბარი და სხვა.

ეროვნული კითხვა.

უკრაინის შტაბის უფროსი.

რაინის გენერალ შტაბის უფროსად დანიშნულია პენკ ბობროვსკი. სეკრეტარიატი სასწრაფოდ ამუშავებს უკრაინელ ლაშქრის წესდებას.

ჯარების მოსვლა.

უკრაინაში პეტროგრადიდან მოდიან უკრაინელი ჯარები დიდძალი საიარაღო მოწყობილებით. ფრონტიდან კიევში მოვიდა პირველი უკრაინული კავალერიის პოლკი.

უკრაინელ ჯართა ორგანიზაცია.

ადესის ოლქში—პეტლიურა ადგენს უკრაინელთა სუბუქ ბატარეას და გაიდამაკების „კურენებს" 3 ბატალიონის შემადგენლობით. პეტლიურა ადესის საავიაციო სკოლასაც უკრაინულად აცხადებს და ადგენს უკრაინულ ავიაციურ პირველსა და მეორე რაზმებს.

უკრაინულ ფულის გამოშვება.

ფინანსთა მთავარმა სეკრეტარიატმა, უფულობის გამო გადასწყვიტა ფულის ნიშნების და ბონების გამოშვება. უზრუნველსაყოფ ფონდებად გამოცხადებულია: უკრაინულ ერობათა და ქალაქების შემოსავალი, შაქარი და საპროცენტო ქაღალდები. შემდგარია საგანგებო კომისია, რომელიც შეიმუშავებს საამისო კანონპროექტებს. პირის (ფულის ნახატი) შესადგენად მოწვეულია კონკურსი, ხოლო დასაბეჭდად სოციალისტები მოიწვიეს.

რუსულ ტელეგრაფის ნაციონალიზაცია.

ფინეთის სენატმა რუსულ სამთავრობო ტელეგრაფის ნაციონალიზაცია დაადგინა.

მოლდავეთი და ფინეთი.

ბესარაბიის უმაღლესმა საბჭომ მიმართა ფინეთის სენატს, ძირითადი კანონების [illegible] და ფინეთის მართველობის ფორმის პროექტი გამოუგზავნეს.

ასტრახანის მაჰმადიანთა ავტონომია.

ასტრახანის მაჰმადიანებმა გამოაცხადეს [illegible] ავტონომია და თავის მთავრობა აირჩიეს. [illegible] მინისტრად [illegible].

მაჰმადიანთა კოლეგია

ეროვნულ საქმეთა კომისარიატში მაჰმადიანთა კოლეგია სდგება. კოლეგიაში შედიან [illegible], ყირიმის, ყირგიზების, ამიერ კავკასიის თათრების, და მთიელთა და სხვათა წარმომადგენლები. ამ კოლეგიაში შევა სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი.

ყურანის დაბრუნება.

სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე მაჰმედ ცალიკოვმა ინახულა ეროვნებათა კომისარი სტალინი. ცალიკოვს განუცხადებია: მაჰმადიანები [illegible] ოსმანის ყურანს მოითხოვენო. სტალინი დაჰპირებია, თუ მაჰმადიანები ამას მოითხოვენ — მათი სურვილები სიხარულით დაკმაყოფილდებაო.

ომი კიევსა და პეტროგრადს შორის.

უკრაინის რადამ უარჰყო ბოლშევიკების „ულტიმატუმი". კიევსა და პეტროგრადს შორის ომი უკვე გამოცხადებულია. უკრაინის ფრონტის მთავარ სარდლად (სამხ., დასავ. და რუმინეთის) დანიშნულია გენერალი შჩერბაჩევი. თვითეულ ყაზარმაში გამოცხადდა მობილიზაცია. სურსათის გატანა უკრაინიდან აკრძალულია. სახლვრებზე დგანან კორდონები. კიევში შესვლა აკრძალულია. ვოლოჩისკთან მოხდა უკრაინელთა და ბოლშევიკების შეტაკება. ბოლშევიკები დამარცხდნენ. განსაკუთრებით ლაშქარი და მე-X კორპუსი აღარ ემორჩილებიან ბოლშევიკებს.

ბრძოლა ოდესაში.

ბოლშევიკებსა და უკრაინელებს დიდი შეტაკება მოუხდათ. ისმოდა ტყვიის მფრქვეველთა დაუცხრომელი სროლა. ბევრია დაჭრილი. ქალაქი თავზარდაცემულია. დაიხურა ბანკები და მაღაზიები. უწყვეტი სროლა ქალაქში დეკემბრის პირველს მთელი დღე და ღამე ისმოდა. წითელ გვარდიელებმა ტელეფონის სადგურს სროლა [illegible]. მოსამსახურე ქალები შიშით ავად გახდნენ.

დეკრეტი

ქართველ თავად-აზნაურობის ქონების საქართველოს ეროვნულ საბჭოს ხელში გადასვლის შესახებ

დეკემბრის 11-ის სხდომაზე ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შემდეგი დადგენილება მიიღო:

ამიერ-კავკასიის კომისარიატი იღებს მხედველობაში, რომ ა) თანახმად ნოემბრის 28 და დეკემბრის 8-ს მიღებულ დადგენილებისა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის ყველა ქონება გადადის მთელ ქართველ ხალხის ხელში, ბ) ამ დადგენილების გამო ნოემბრის 19—23 მოწვეულმა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ თანხმობა გამოაცხადა თავად-აზნაურობის ქონების მიღებაზე,— ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ამის გამო დაადგინა: 1) აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის, როგორც წოდებრივ ორგანიზაციისა, ყველა უძრავი და მოძრავი ქონება, აგრეთვე მის ყველა ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს საქართველოს ეროვნულ ყრილობის ხელში გადასულად აღიარებს, 2) ამ ქონების გამგებლობა და სარგებლობის წესის შემუშავება დაევალოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელსაც ენიჭება აგრეთვე იურიდიულ პირის უფლებები და 3) თბილისის და ქუთაისის მიწის სადგილმამულო ბანკების ყველა უფლებები საქართველოს ეროვნულ საბჭოს ენიჭება.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა საყურადღებოთ.

პარასკევს დეკემბრის 15 საღამოს 6 საათზე დანიშნულია ჩვენი ქვეყნის რედაქციაში ქუთაისში მყოფ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის [illegible]

სტუდენტთა კრება

კრებაზე განხილული იქნება ძრიელ საყურადღებო კითხვები. თანამოაზრე სტუდენტებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

ორგანიზაციის პრეზიდიუმი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი

იარაღის მოთხოვნა. ქუთაისის სამაზრო და [illegible] მმართველობებმა გუბერნიის კომისარს სთხოვეს, რათა მიეცეს მათ ორი ათასი თოფი მამულის მცველისთვის.

◆ **აიკრძალა.** ოსმალურ ვინტოვკისა და რევოლვერის ტარება.

◆ **ჯარის მოთხოვნა.** სენაკის აღმასრულებელი კომიტეტი გუბერნიის კომისარს სთხოვს, გამოგზავნოს სენაკში ორი როტა ქართული პოლკიდან დეზერტირობასთან და ყაჩაღობასთან საბრძოლველად.

◆ ბიურო [illegible] სტეფანე ხოჯევანოვის ცნობის მიმცემი ბიურო დაჰკეტეს.

◆ **პირდაპირი მატარებელი.** დეკემბრის 16-დან [illegible] პირდაპირი მატარებლების მიმოსვლა ბაქოდან პეტროგრადამდე, [illegible] და გაიხსნება აგრეთვე მიმოსვლა პირდაპირი მატარებლებით „მინერალნიე ვოდიდან" პეტროგრადამდე. [illegible] 1-2 კლასის [illegible].

◆ **ეშმის გამოწვევა.** [illegible], რომელიც მსახურებს კავკასიის მეხუთე საარტილერიო კორპუსში [illegible] წინააღმდეგ საბრძოლველად გუბერნიის კომისარმა ქუთაისში დაიბარა.

◆ **სოფ. ეკეთში.** იხსნება კოოპერატივი „[illegible]".

◆ **ქართველ კათოლიკეთა შორის.** ქ. ახალ-ციხეში მოხდა ქართველ კათოლიკეთა საერთო ყრილობა. ყრილობას დაესწრო 64 კაცი, მათ შორის ორი წარმომადგენელი თბილისიდან. ყრილობამ აირჩია 12 კაცისგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა დაჰკეტოს ყველა ქართველ კათოლიკეთა სამლოცველო მანამდე, სანამ არ მოეწყობა მათში სამშობლო ქართულ ენაზე ღვთის მსახურება.

◆ **ფული არ არისო.** ამიერ-კავკასიის კომისარიატს სოჩიდან და სოხუმიდან აუწყებენ, რომ იქ ქაღალდის ფულიც აღარ არის.

◆ **ზავის გამო.** დროებითი ზავის გამო სახალხო მზრუნველობის კომისარმა კავკასიის ბრძოლის ველის კომისარს სთხოვა გაანთავისუფლონ ოსმალეთის ქვეშევრდომი [illegible], რომლებიც ამჟამად კუნძულ ნარგენზე იმყოფებიან.

◆ **8 საათის სამუშაო დღის დეკრეტის შესახებ.** ბაქოს ნავთის მრეწველნი ამიერ-კავკასიის კომისარიატს აუწყებენ, რომ 8 საათის სამუშაო დღის ცხოვრებაში გასატარებლად გამოცემული დეკრეტი შეუფერებელია ბაქოს ნავთის მრეწველობისთვის, რის გამოც მრეწველთა საბჭო მოითხოვს დეკრეტში ბაქოს შესახებ ცვლილება შეტანილი იქნას. ამ კითხვის მოსაგვარებლად ამიერ-კავკასიის კომისარიატი ბაქოში განსაკუთრებულ კომისიას ჰგზავნის.

◆ **სტუდენტთა სასწრაფო სხდომა.** დღეს პარასკევს დეკემბრის 15-ს „გაზ. ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში საღამოს 6 საათზე დანიშნულია ეროვნულ დემოკრატ სტუდენტთა [illegible] სექციის სასწრაფო სხდომა ფრიად საჭირო საკითხების გასარჩევად.

◆ **დიდი საღამო.** შაბათს 16 დეკემბერს [illegible] ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქალთა წრე გამართავს დიდ საღამოს. ამ საღამოსათვის თბილისიდან მოწვეულნი არიან ცნობილი მომღერალ-მუსიკოსები. პროგრამა საერთოდ მრავალფეროვანი არის შედგენილი.

◆ [illegible] ქართულად თარგმნილი ალექსანდრე ყაზბეგის [illegible] „СВОБОДНОЕ СЛОВО'' ს. რედაქციაში.

◆ **საღამო კაბარე.** კვირას დეკემბრის 17-ს ქ. ზესტაფონში გაიმართება დიდი საღამო კაბარეი ვალსის და სხვათა მონაწილეობით.

როსტოვში და კავკასიის რკინის გზაზე.

პეტროგრადსა და მოსკოვში მომხდარმა ამბებმა დონის როსტოვზე, ტაგანროგზე და ნოვო-ჩერკასკზეც დიდი გავლენა მოახდინა. თავდაპირველად დონის ყაზახობა პეტროგრადსა და მოსკოვში მომხდარ ამბებს ძალიან ფხიზლად შეხვდა. ყაზახებმა დაიკავეს ფოსტა-ტელეგრაფი და სადგური. ბოლშევიკებს მიზნად ჰქონდათ დონის როსტოვშიც მართველობა ხელში ჩაეგდოთ, ამიტომ მათ დაიწყეს წითელი გვარდიის შედგენა. ნოემბრის შუა რიცხვებში მათ წითელ გვარდიაში 7 ათასამდე კაცი ჰყავდათ და რა ზომს გვარდიელთა რიცხვს 10.000 მდე შეასრულებდენ, აპირებდენ შეიარაღებულ გამოსვლას. მათ მოსახმარებლად მოდიოდენ წითელი გვარდიელები პეტროგრადიდან, მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან. ამავე დროს ტაგანროგში ჩამოვიდა ბალტიის ფლოტის მატროსები ერთი სიტყვით მდგომარეობა ისე გართულდა, რომ დღითი დღე მოელოდენ ბოლშევიკებსა და ყაზახებს შორის შეტაკებას. ბოლშევიკებმა დაიპყრეს ქალაქი ნახიჩევანი და იქ გაჩაღეს მუშაობა, ამზადებდენ ყუმბარებს და [illegible] ბარიკადების მასალებს. 20 ნოემბრიდან სალდათებმა და მუშებმა იწყეს ქალაქში ავტომობილებით სიარული. სალდათების და მუშების შეიარაღებულმა თარეშმა ქალაქში სამარისებური სიჩუმე ჩამოაგდო. ყველა მოელოდა სამოქალაქო ომის დაწყებას, [illegible] რომელი მხრიდან ატყდებოდა აურზაური, არავინ იცოდა. თავისი მხრით ყაზახებმა და კადეტებმა კალედინის დახმარებით გამოსცეს მოწოდებები, რომლებშიაც მოუწოდებდნენ ყაზახობას სამშობლოს ბოლშევიკებისაგან დაცვას. 24 ნოემბერს კალედინი დაესხა თავს ნოვოჩერკასკის გარნიზონს და აიძულეს სალდათები იარაღი ჩაეყარათ. რაკი სალდათებს ყაზახების საწინააღმდეგოთ ძალა არ შესწევდათ, [illegible] დანებდენ და იარაღი ჩააბარებინეს, რიცხვით 30 ათასამდე.

24 ნოემბერს ღამით რამოდენიმე ქართველმა დავტოვეთ როსტოვი. 25 ნოემბერს მოვაღწიეთ სადგურ კავკაზსკაიამდე, სადაც სალდათებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს გაეტეხათ არაყის საწყობი და დიდი თუ პატარა ყველა ეზიდებოდა არაყს. სამი დღე ვიმგზავრეთ კავკაზსკაიადან ბაქომდე, რადგან ჩეჩნების ამბოხების გამო ღამე მგზავრობა შეუძლებელი გამხდარიყო.

შეიარაღებული ჩეჩნები რიცხვით დაახლოვებით 70 ათასამდე შემორტყმოდენ გროზნოს და აწიოკებდენ. როგორც გადმოგვცეს გროზნოსათვის მათ ცეცხლი გაეჩინათ. ჩეჩნები რუსებს წინადადებას აძლევდენ დაეტოვებინათ ყველა ის ადგილები, რომლებიც რუსებმა მათ წაართვეს შამილის დროს. ისინი უმოწყალოდ ხოცავდენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, არ ინდობდენ არც უსუსურ ბავშვებს, ესხმოდენ მატარებლებს და ართმევდენ იარაღს ჯარისკაცებს. 25 ნოემბერს მათ წაიღეს 13 ტყვიის მფრქვეველი და რამდენიმე თოფი. გზადა გზა გაბრაზებული რუსები თუ კი სადმე შეასწრებდენ ვინმე ჩეჩენს, არ ზოგავდენ არაფრით. პეტროვსკში ბრბომ მოკლა ერთი ჩეჩენი. როგორც თვით დონის როსტოვში, აგრეთვე გზაში ხშირად ხდებოდა თვით გასამართლება. საჭიროა რომ ვინმე მოქალაქემ დაიძახოს „бей его" და იმ წამსვე ყველა დაუწყებს ცემას ერთ რომელიმე კაცს, რომელიც გამხეცებული ბრბოს მსხვერპლი ხდება.

შალიკო ჯუ—ძე.

ერობა კავკასიაში.

წერილი მეოთხე.

წინა წერილში მოკლედ დახასიათებული გვქონდა ის სამგვარი ერობა, რომელთა წესდებულებანი ძველი რეჟიმის დროს გამოქვეყნებული და რომელნიც ერთი მეორეზედ უარეს იყვნენ და მრავალ ღირსებასაც მოკლებული, მეტადრე მის გამო, რომ რუსეთის მთავრობა 1880 წლიდგან დაწყებული სულ იმას ცდილობდა, რომ 1864 წლის ერობის თვითმართებლობის ფართო პრინციპები თანდათან შეეზღუდა და ფრთები შეეკვეცა. რასა თქმა უნდა, რომ დღეს მათი დებულება არ გამოგვადგება და ისეთი ერობის პროექტი უნდა შევადგინოთ, რომლითაც ჩვენთვის ივარგებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ახალი მოთავენი, ეროვნული ყრილობაზედ ამ ხანებში არჩეულნი მოიფიქრებენ საკმარისად და შეიმუშავებენ შესაფერ გეგმას ამის თაობაზედ.

მე მხოლოდ მინდა ჩემი აზრი და შეხედულობა გამოვთქვა ამის შესახებ და დიდად მოხარული ვიქნები, თუ ის გამოადგებათ საერობო პროექტის დაკანონების დროს.

დღეს ჩვენთვის არ ივარგებს არც ერთი ის ერობა, რომელიც რუსეთში სხვადასხვა დროს შემოღებული იყო, რადგან თითეულს მათგანს აუარებელი ნაკლულევანება აქვს ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია ციმბირის ერობის ის პროექტი, რომელიც იურიდიული საზოგადოების მიერ შემუშავებული იყო 1905 წლისა. ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორებმა და არჩეულმა იურისტებმა შეადგინეს, ჩემის აზრით, ისეთი მშვენიერი ერობის პროექტი, რომელიც ჩვენში რომ განხორციელდებოდეს, დიდი ბედნიერება იქნება. არც ერთი კულტურული საზოგადოება არ დარჩენილა, რომელსაც ამ პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიეღოს. უკანასკნელად ამ პროექტის გასარჩევად და დასამტკიცებლად ტომსკში მოწვეულნი იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები: იურიდიულის, სამეურნეო, საექიმო, სწავლა-განათლებაზე მზრუნველების, მასწავლებელთა და მოსწავლეთა და როდესაც ამათ გაარჩიეს და მოიწონეს, მხოლოდ მაშინ იყო ის გამოქვეყნებული, მაგრამ მაშინდელი მთავრობისაგან დაუმტკიცებელი და როგორც ვიცი, ძველი რეჟიმის მთავრობისგან ვერც ეღირსებოდა იგი დამტკიცებას.

ეს ამ გვარად შემუშავებული ერობის პროექტი არა თუ მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, საზღვარგარეთისთვისაც იმდენად საინტერესოა, რომ საჭიროდ ვსთვლი მოკლედ გავაცნო მკითხველებს მისი დედა აზრი. ამ პროექტის ძალით ერობას იმდენი თავისუფლება ენიჭება საოჯახო საქმეებში და სრული დამოუკიდებლობა ადმინისტრაციისაგან, რომ მასზედ მეტის მოთხოვნა, მგონია, უსაფუძვლო იქნებოდა. ეს პროექტი გარჩეული იყო ყველა რუსეთის საუკეთესო გაზეთებში 1905 წლისა და ნაცნობი მათ მიერ იდეალურ პროექტად, ბ-ნს გიორგი თუმანიშვილის წიგნაკში, სადაც მას შეკრებილი აქვს ერობის შესახებ სხვადასხვა მასალა, ეს პროექტიც მოყვანილია.

ამ პროექტის პირველ განყოფილებაში მთელი ციმბირის მხარე დაყოფილია გუბერნიებად, მაზრებად და სამამასახლისოებად. ეს უკანასკნელნი შეადგენენ თავისებურ ერთეულს (мелкая земская единица), რომელსაც ბევრი რამე ეთქმულა და დაწერილა. ერობის წარმომადგენლები დიდი ხნიდგან მიმხვდარი იყვნენ, რომ მარტო მაზრის საბჭოები ვერ წვდებოდა მთელი მაზრის მცხოვრებლებს და საჭირო იყო, რომ თვით მაზრა მცირე ერთეულებად [illegible], მაგალითად: რაიონებით, სადაც რამდენიმე ახლო-მახლო სოფელში მცხოვრებთა რიცხვი ოციდან ოცდა ხუთ ათას კაცამდის ყოფილიყო, ანუ მათი მანძილი მიწა-წყლის სივრცე რაიონის შუაგულიდან 15-20 ვერსს არ უნდა აღმატებოდეს. ჩვენი უწინდელი მთავრობა, დაჩვეული შუაგულიდგან (ზემოდგან) მართვას, ამის დაწყებას ძალიან ეწინააღმდეგებოდა და არ თანხმდებოდა ამ გვარი მცირე ერთეულების შემოღებაზე.

ამ პროექტის მეორე განყოფილებაში მოხსენებულია, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი საერობო და მისი აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები. პირველი ადგილი უჭირავს ერობის შემადგენელ კრებას, რომელიც ერობის თვითმართველობის მთავარ-ბატონად ითვლება მეორე ორგანოა საბჭოები (земская управа) და სხვადასხვა აღმასრულებელი კომისიები მცირე ერთეულების კრებაზე რწმუნებულთ, როგორც ამ უკანასკნელისა ისე სამაზროსას, ირჩევენ დამსწრე პირნი, ხოლო სამაზროსათვის არჩეულნი თვის შორის ირჩევენ გუბერნიის ერობის რწმუნებულებს. ერთეულებში არჩევნები უნდა მოხდეს ადგილობრივი მსაჯულის მოწვევით რომელიც კრებას გახსნის და თავმჯდომარეობას კრების მიერ არჩეულ პირს გადასცემს. ეს კრება სწყვეტს, თუ რამდენი რწმუნებულია მისთვის საჭირო და ეს არის დამყარებული მაზედ, თუ რამდენი მცხოვრებია თითეულ ერთეულში; საზოგადოდ რწმუნებულების რიცხვი მცირე ერთეულში 15-30 კაცს არ უნდა აღემატოს, მაზრაში ორმოცდაათს და გუბერნიაში ასოცს. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორივე სქესს, რომელთაც უფლება არ აქვთ დაკარგული სასამართლოს წესით, სრულ წლოვანი არიან და იმ რაიონში ორ წელზე არა ნაკლებ უცხოვრიათ. პოლიციაში და პროკურატურაში მოსამსახურე პირთ არჩევნებში მიღების უფლება არ აქვთ. რწმუნებულად ყველას შეიძლება არჩევა თუ კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება აქვს. არჩეულ რწმუნებულთათ ეძლევათ ხარჯი დღიური და სამგზავრო იმდენი რამდენსაც საზოგადოება გადასწყვეტს.

აქ დიდი განსხვავება უწინდელ ერობათა წესდებულობის და ამ ციმბირის პროექტის შორის. ერთი ის, რომ ცენზი საჭირო არ არის, მეორე ქალებიც ღებულობენ მონაწილეობას რწმუნებულობის არჩევნებში, როგორც ამჟამად მიღებულია ქალაქების არჩევნებში. ამას გარდა თუმცა ეს პროექტი ამომრჩევლისთვის ცენზს არ მოითხოვს, მაგრამ ივალებს მათ ორი წლის ყოფნას იმ რაიონში სადაც არჩევნები წარმოებს.

ამგვარად ამორჩეული რწმუნებულები თავის აღმასრულებელ ორგანოებს აირჩევენ, ესე იგი, საბჭოს, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან, რომელნიც საკმარისად მომზადებულნი უნდა იყვნენ, საშუალო სწავლა მიღებული მაინც უნდა ჰქონდეს გათავებული. რაც შეეხება მცირე ერთეულის საბჭოს, იქაც არ შეიძლება არჩევა იმისთანა პირების, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან.

(დასასრული იქნება)

დიმ. ნაზაროვი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკველია.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოცირიძის სახლი, ქუთაისში